



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
სტუდენტთა ტრენინგ საჭიროებების კვლევა

*(შემოკლებული ვერსია)*

---

*კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების  
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი*

წინამდებარე კვლევა კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ 2014 წელს განხორციელდა. ტრადიციულად, კონფლიქტოლოგიის ცენტრი, ხელს უწყობს რა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, დაინტერესებულ ორგანიზაციებს სთავაზობს კვლევის შედეგებს, რაც მათ დაეხმარებათ, განახორციელონ კონკურენტუნარიანი საქმიანობა, შესთავაზონ საკუთარი პროდუქცია (ტრენინგები, სემინარები, სხვ.) დაინტერესებულ პირებს და ამით ინსტიტუციურად გაძლიერდნენ. დღეისათვის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მეტ აქტუალობას იძენს, ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა ამ მიმართულების გასავითარებლად, მნიშვნელოვანია.

<b>კვლევის მიზანი</b>	პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირება მათზე მორგებული ტრენინგ-მოდულების შექმნის მიზნით.
<b>სამიზნე ჯგუფი</b>	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები.
<b>კვლევის მეთოდი</b>	ფოკუს ჯგუფი (ჯგუფური დისკუსია).
<b>კვლევის ინსტრუმენტი</b>	ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი.
<b>ჩატარების დრო</b>	2014 წლის ნოემბერ-დეკემბერი.
<b>მკვლევრები</b>	ევგენია (ეკა) ჯაველიძე, ელენე ერისთავი.

კვლევის ჩატარებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების - „თბილისის ტურიზმის აკადემია“, „მესამე სამედიცინო და ტურიზმის აკადემია“, „პანაცეა“, „XXI საუკუნე“, - რექტორატსა და სტუდენტებს.

## კვლევის მიზანი

კვლევის ძირითადი მიზანი იყო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა ტრენინგ საჭიროებების განსაზღვრა.

განსახილველი თემები:

- სტუდენტთა დამოკიდებულება საკუთარი პროფესიული არჩევანის მიმართ;
- პროფესიული წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარების იდენტიფიცირება;
- სტუდენტთა პროფესიული ზრდისთვის საჭირო ტრენინგების თემატიკის დადგენა;
- ტრენინგის ჩატარების პირობებისა განსაზღვრა.

### სამიზნე ჯგუფი

კვლევის პროცესში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა. მათი შერჩევა (პროფესიის, სქესისა და ასაკის მიხედვით) რეპრეზენტანტულია და ზუსტად ასახავს იმ თანაფარდობას, როგორც წარმოდგენილი არიან მოცემულ სასწავლებლებში (იხ.დანართი #1 ).

მონაწილეთა შერჩევისას აქცენტი გაკეთდა იმ სასწავლო პროგრამების სტუდენტებზე, რომელთა მომავალი პროფესიული საქმიანობისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური უნარების გაძლიერება/განვითარება.

ფაკულტეტი/სპეციალობა	მონაწილეები			
	ქალი	კაცი	სულ	ასაკი
1   პრაქტიკოსი ექთანი, ექთნის თანაშემწე	23	1	24	15-25
2   ოფის მენეჯერი	8	6	14	15-19
3   გიდი	7	0	7	19-24
<b>სულ</b>	<b>38</b>	<b>7</b>	<b>45</b>	<b>15-25</b>

### კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა ფოკუს ჯგუფი (ჯგუფური დისკუსია), სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდი, რომელიც გულისხმობს წინასწარ დაგეგმილი სადისკუსიო თემების ჯგუფურ განხილვას.

ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 8-12 ადამიანია.

დისკუსიის მსვლელობას წარმართავს მოდერატორი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფის თითოეული წევრის მიერ ინდივიდუალური მოსაზრების გამოხატვას და მათ შორის აზრთა გაცვლას.

სესიის მსვლელობისას, ხდება დისკუსიის აუდიო და/ან ვიდეოჩაწერა, რომლის შესახებაც მონაწილეები წინასწარ არიან გაფრთხილებულნი.

კვლევის მეთოდად ფოკუს ჯგუფის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ რესპოდენტების მოსაზრებები, მოვისმინოთ მათი შეფასებები და დასაბუთება. აგრეთვე, სესიის დროს გამართული დისკუსიების შედეგად უკეთ ვლინდება რესპოდენტების მოტივაცია და მათი დამოკიდებულება შესასწავლი საკითხისადმი.

## კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტად მომზადდა სპეციალური გაიდლაინი. გაიდლაინში მოცემული კითხვები შემუშავდა წინასწარი შესწავლის შედეგად დადგენილი სადისკუსიო თემების საფუძველზე. ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას თემების განხილვა ხდებოდა მოცემული გაიდლაინის მიხედვით.

## ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი

### შესავალი (10 წთ)

- მისალმება - მონაწილეებისათვის ორგანიზაციის, მოდერატორის და საკვლევი თემის გაცნობა;
- მონაწილეებისათვის ფოკუს ჯგუფის მსვლელობის ბაზისური წესების გაცნობა;
- მონაწილეების გაცნობა.

### დისკუსია (1:20სთ)

კითხვების ჩამონათვალი სადისკუსიო თემების მიხედვით:

**I თემა: სტუდენტთა დამოკიდებულება საკუთარი პროფესიული არჩევანის მიმართ**

1. რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი და რამდენად კმაყოფილი ხართ?

2. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ხუთი წლის შემდეგ. სად უნდა იყოთ დასაქმებული, რა პოზიციას უნდა იკავებდეთ, რომ საკუთარი თავი პროფესიული წინსვლის თვალსაზრისით წარმატებულად ჩათვალოთ?

## II თემა: პროფესიული წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარების იდენტიფიცირება

1. თქვენი აზრით, როგორია „იდეალური ექთნის, გიდის, .....“ ხატი? რა თვისებები ახასიათებს მას?
2. თქვენი აზრით, წარმატების მისაღწევად, პროფესიული ცოდნის გარდა, კიდევ რა თვისებები/უნარებია საჭირო?

## III თემა: სტუდენტთა პროფესიული ზრდისთვის საჭირო ტრენინგების თემატიკის დადგენა

1. გთხოვთ დაასახელოთ ის უნარები, რომლის განვითარება/გამლიერებაც გესაჭიროებათ?
2. გსურთ თუ არა თქვენს მიერ დასახელებული უნარების განსავითარებელი ტრენინგ კურსების/კურსის გავლა?

## IV თემა: ტრენინგის ჩატარების პირობებისა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა

1. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს აღნიშნულ თემებზე სერტიფიცირებული ტრენინგ-კურსის ღირებულება?
2. გთხოვთ, დაასახელოთ ტრენინგზე დასასწრებად თქვენთვის ხელსაყრელი პირობები (დრო, ადგილი, საათების განაწილება და ა.შ.).

## კვლევის ეტაპები და მიმდინარეობა

კვლევა მიმდინარეობდა ეტაპობრივად. კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა და მომზადდა კვლევის ინსტრუმენტი (ფოკუს ჯგუფების გზამკვლევი). ამის შემდეგ განისაზღვრა რეკრუტირების კრიტერიუმები და დაიგეგმა ფოკუს ჯგუფები. ჯგუფები დაკომპლექტება მოხდა პროფესიების მიხედვით. შემდგომ ეტაპზე ჩატარდა ხუთი ფოკუს ჯგუფი. თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 7-12 რესპოდენტი. სესიის ხანგრძლივობა იყო 1<sup>30</sup> საათი. მონაწილეებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოხდა ინტერვიუს აუდიოჩაწერა. კვლევის ანალიტიკურ ეტაპზე მომზადდა ტრანსკრიპტები და მოცემული მასალის დამუშავების საფუძველზე მომზადდა ანგარიში. თითოეული ეტაპის ვადები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

კვლევის ეტაპები		03/11-17/11	19/11-1/12	20/11-7/12	9/12-23/12
1	კვლევის ინსტრუმენტის მომზადება				
2	ჯგუფის წევრების რეკრუტირება				
3	ფოკუს ჯგუფების სესიების ჩატარება				
4	ტრანსკრიპტების მომზადება				
5	ანგარიშის მომზადება				

## ანგარიში

მოცემულ თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები თითოეული სპეციალობის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილი დასკვნები ეფუძნება ჯგუფური დისკუსიის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

## ექთნები

### საკუთარი პროფესიული არჩევანის მიმართ დამოკიდებულება

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს საკუთარ არჩევანს. ისინი აღნიშნავენ, რომ მათი არჩევანი განპირობებულია სამედიცინო სფეროს მიმართ დიდი ინტერესით და, ასევე, დასქმების კუთხით, პრაქტიკოსი ექთნის პროფესიის პერსპექტიულობით.

- ✓ „მაქვს უმაღლესი განათლება. ამ სასწავლებელში ჩავაბარე იმიტომ, რომ ვმუშაობ სავაადმყოფოში და დამინტერესა ანესტეზიამ, რისთვისაც პრაქტიკოსი ექთანი არის შესაფერისი განათლება, მინდა საკუთარი თავის რეალიზება მოვახდინო ამ სფეროში“ (ქალი, 23 წლის)
- ✓ „მინდა დავეხმარო ყველა ადამიანს“ (ქალი, 23 წლის)
- ✓ „ძალიან მომწონს ბავშვებთან ურთიერთობა, მინდა ვიყო მათი ექთანი და ვაპირებ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას“ (ქალი, 22 წლის)
- ✓ „ყოველთვის მომწონდა ეს სფერო და ძალიან კმაყოფილი ვარ საკუთარი არჩევანით“ (ქალი, 22 წლის)
- ✓ „მინტერესებდა ეს სფერო და მივიღე გადაწყვეტილება, რომ მესწავლა პრაქტიკოსი ექთნის საფეხურზე“ (ქალი, 25 წლის)

- ✓ „მაქვს უმაღლესი განათლება, დავამთავრე უცხო ენები, ვერ ვიშოვე სამსახური შემდეგ გადავწყვიტე შემესწავლა მასაჟი, ძალიან მიმეწონა ჩემი თავი სამედიცინო სფეროში და გადავწყვიტე პრაქტიკოსი ექთნის კურსი გამეველო“ (ქალი, 25 წლის)
- ✓ „ჩემი ბავშვობის სურვილი იყო გავმხდარიყავი ექიმი, ვერ მოვეწყვე, მოვედი აქ და კმაყოფილი ვარ, რომ სამედიცინო სფეროში ვიმუშავე“ (ქალი, 19 წლის)

ფოკუს ჯგუფის წევრები გამოთქვამენ იმედს, რომ მომავალში შეძლებენ საკუთარი სპეციალობით დასაქმებას. უმრავლესობის სურვილია გახდეს მთავარი ექთანი, ხოლო ნაწილი სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას აპირებს.

- ✓ „გავხდები მთავარი ექთანი და ვეცდები, რომ კარგი ექთანი გამოვიდე“ (ქალი, 19 წლის)
- ✓ „მინდა გავიღრმავო ცოდნა ამ მიმართულებით და ვიმუშავე მთავარ ექთნად“ (ქალი, 17 წლის)
- ✓ „მივიღებ მაქსიმალურ განათლებას, რაც ექთანს სჭირდება“ (ქალი, 25 წლის)
- ✓ „ავიმაღლებ კვალიფიკაციას და ვიმუშავე მთავარ ექთნად კარგ საავადმყოფოში“ (ქალი, 19 წლის)
- ✓ „გავყვები მასაჟს და გავხდები ექთან-მასაჟისტი“ (ქალი, 23 წლის)
- ✓ „წავალ საზღვარგარეთ, იქ ავიმაღლებ ჩემი ცოდნის დონეს, ბოლომდე ჩავწვდები ამ სფეროს და წარმატებას მივაღწევ“ (ქალი, 22 წლის)
- ✓ „გავაგრძელებ სწავლას ჯანდაცვის ფაკულტეტზე და შემდეგ ჯანდაცვის სფეროში ვიმუშავე“ (ქალი, 22 წლის)

### წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარები

მონაწილეებმა დისკუსიის საფუძველზე განსაზღვრეს იდეალური ექთანის ხატი, რომლის დამახასიათებელი თვისებები და უნარ-ჩვევები საჭიროა პროფესიული წარმატების მისაღწევად.

მათი აზრით „იდეალური ექთანი“ არის განათლებული, დისციპლინირებული, კომუნიკაბელური, ყურადღებიანი, თავაზიანი, უყვარს საკუთარი საქმე და უყვარს პაციენტი, აქვს მოთმინების უნარი; თანამშრომლებთან არის სამართლიანი, კოლეგიალური და სარგებლობს ავტორიტეტით, ყოველთვის იცავს სუბორდინაციას.

პროფესიული ზრდისთვის საჭირო ტრენინგის თემატიკა

ფოკუს ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ ექთნის საქმიანობის ეფექტიანად შესრულებისათვის აუცილებელია პაციენტთან ურთიერთობის, მისი მომსახურების შესახებ სპეციალური სასწავლო კურსის გავლა, სადაც თეორიულ ცოდნასთან ერთად გამოიმუშავენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

- ✓ „უნდა შემეძლოს პაციენტს ისეთი გარემო შევუქმნა, რომ მომენდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მკურნალობას აზრი არ ექნება“ (ქალი, 25 წლის)
- ✓ „პაციენტი განსაკუთრებით მგრძობიარეა, მომსახურების პროცესში არაფერი არ უნდა შეგეშალოს“ (ქალი, 22 წლის)
- ✓ „პაციენტი უფრო გახსნილია ექთანთან, ვიდრე ექიმთან, ამიტომ მისი განწყობა ძირითადად ჩვენზეა დამოკიდებული“ (ქალი, 23 წლის)
- ✓ „როცა პაციენტი შენთან შემოდის მომსახურებას აქცევს ყურადღებას“ (ქალი, 19 წლის)
- ✓ „პაციენტს კარგი აურა უნდა დავახვედროთ, ჩვენი ქცევა მოქმედებს საავადმყოფოს იმიჯზე“ (კაცი, 22 წლის)

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც უწევთ ურთიერთობა გაღიზიანებულ პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარის გამოიმუშავება, რათა შეძლონ დაძაბული სიტუაციების განმუხტვა.

- ✓ „თეორიულად შეიძლება იცოდე, რომ პაციენტს შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო, მაგრამ, პრაქტიკაში ზოგჯერ ეს არ გამოდის, საჭიროა გავარჯიშება“ (ქალი, 23 წლის)
- ✓ „უნდა იცოდე როგორ დაელაპარაკო პაციენტს და განსაკუთრებით მის ნათესავეებს, რომ არ გამოიწვიო აგრესია“ (ქალი, 19 წლის)
- ✓ „ექთანი არის შუამავალი პაციენტსა და ექიმს შორის, მათ შორის გაუგებრობა ექთანმა უნდა მოაგვაროს“ (ქალი, 18 წლის)

მონაწილეთა აზრით მნიშვნელოვანია, რომ საავადმყოფოში სამედიცინო პერსონალი ურთიერთშეთანხმებულად და გუნდურად მოქმედებდეს. ისინი თვლიან, რომ მედიცინის მუშაკებს ესაჭიროებათ გუნდური მუშაობის და პრობლემის ერთობლივი გადაწყვეტის უნარის გამოიმუშავება.



- ✓ „პატივი უნდა სცე შენს კოლეგებს, შენი გაფუჭებული საქმე სხვას არ უნდა გადააბრალო“ (ქალი, 19 წლის)
- ✓ „მთელი პერსონალი, ექიმებიც და ექთნებიც შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ, სხვაგვარად შეუძლებელია“ (ქალი, 23 წლის)

ფოკუს ჯგუფების ყველა მონაწილემ გამოთქვა სურვილი გაიაროს ზემოაღნიშნული უნარების განსავითარებელი ტრენინგ კურსები.

### ტრენინგის ჩატარების პირობები და ღირებულება

რესპოდენტთა აზრით, სამდღიანი (18-20 საათი) ტრენინგის სავარაუდო ღირებულება შეიძლება იყოს 50-დან 200 ლარამდე. უმრავლესობა თვლის, რომ ოპტიმალური თანხა, რომელიც შეიძლება სტუდენტმა სერტიფიცირებულ ტრენინგ-კურსში გადაიხადოს არის 100 ლარი.

მათ ასევე აღნიშნეს, რომ სასურველია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფდეს სამედიცინო პერსონალის ამ მიმართულებით გადამზადებას.

- ✓ „კარგი იქნებოდა ჯანდაცვის სამინისტრო თუ იზრუნებდა ექიმების და ექთნების გადამზადებაზე და გამოყოფდა თანხებს“ (ქალი 23 წლის).

მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ტრენინგის სესიები ჩატარდეს სასწავლო პროცესის პარალელურად და იყოს დღეში 3-4 საათი.

## ოფის მენეჯერები

### საკუთარი პროფესიული არჩევანის მიმართ დამოკიდებულება

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათი პროფესიული არჩევანი ძირითადად განპირობებულია იმით, რომ დღევანდელ დღეს ოფის მენეჯერი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და დასაქმების მხრივ პერსპექტიული პროფესიაა. შესაბამისად, ისინი თვლიან, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს და არც ერთი მათგანი არ აპირებს პროფესიის შეცვლას.

- ✓ „დასაქმების მხრივ უპირატესობას განიჭებს, საჭირო პროფესიაა“ (ქალი, 17 წლის)
- ✓ „ბევრს სჭირდება მენეჯერი, პრივილეგირებული ხარ“ (ქალი, 16 წლის)
- ✓ „თითქმის ყველა ორგანიზაციას სჭირდება ოფისმენეჯერი“ (კაცი, 18 წლის)
- ✓ „იოლად ვიშოვი სამსახურს, ოფისმენეჯერი ხომ ყველას სჭირდება“ (ქალი, 18 წლის)

მონაწილეების პასუხებიდან ჩანს, რომ მათ მაღალი მოლოდინები გააჩნიათ. მათ იმედი აქვთ, რომ მომავალში შეძლებენ საკუთარი პროფესიით დასაქმებას და წარმატებული კარიერა ექნებათ.

- ✓ „თუ ხუთ წელიწადში გავხდები რომელიმე დიდი ორგანიზაციის ოფის მენეჯერი ჩავთვლი, რომ მიზანს მივაღწიე“ (კაცი, 18 წლის)
- ✓ „კარგი იქნება თუ ამ დროისთვის ვიქნები როელიმე წარმატებული ფირმის ოფის მენეჯერი და დამოუკიდებლად შემემძლება თავის რჩენა“ (ქალი, 17 წლის)
- ✓ „მინდა მქონდეს საკუთარი ორგანიზაცია. თუ მოვახერხებ და შევძელი ძალიან კმაყოფილი ვიქნები“ (ქალი, 18 წლის)
- ✓ „წარმატებულად ჩავთვლი თავს, თუ ხუთი წლის შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესო ვიქნები ჩემს პროფესიაში. ვთვლი, რომ აქ მიღებული ცოდნა დამეხმარება ამაში“ (კაცი, 19 წლის).

#### წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარები

რესპოდენტებმა დისკუსიის საფუძველზე განსაზღვრეს იდეალური ოფის მენეჯერის ხატი, განსაზღვრეს ის თვისებები და უნარები, რომელიც საჭიროა წარმატების მისაღწევად.

მათი აზრით „იდეალური ოფის მენეჯერი“ არის საკუთარი საქმის პროფესიონალი, მიზანდასახული, კომპეტენტური, თავდაჯერებული, პუნქტუალური, ემოციურად გაწონასწორებული, თანამრომლებთან და კლიენტებთან ადვილად შედის კონტაქტში; შეუძლია გუნდური მუშაობა, აქვს სამართლიანობის გრძნობა.

#### პროფესიული ზრდისთვის საჭირო ტრენინგის თემატიკა

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ პროფესიული ზრდისა და საკუთარი საქმიანობის ეფექტიანად შესრულებისათვის მათ, როგორც მომავალ ოფის მენეჯერებს, ესაჭიროებათ კლიენტის მომსახურების შესახებ დამატებითი ცოდნის მიღება და შესაბამისი უნარების განვითარება.

- ✓ „მთავარია კლიენტს არ შეეპაროს ექვი ჩემს პროფესიონალიზმში; ყველაფერი გასაგებად უნდა ავუხსნა“ (ქალი, 19 წლის)
- ✓ „აუცილებელია, რომ კლიენტი ყოველთვის კმაყოფილი დარჩეს“ (ქალი, 18 წლის)
- ✓ „კლიენტს უნდა გავუჩინო სურვილი, რომ ჩემს ორგანიზაციაში კიდევ მოვიდეს“ (ქალი, 18 წლის).

ასევე, მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ თანამედროვე ორგანიზაციაში მუშაობისას მნიშვნელოვანია იცნობდე გუნდური მუშაობის სპეციფიკას და ფლობდე კონფლიქტის მართვისათვის საჭირო ტექნიკებს, რათა თავიდან აირიდო მომსახურების პროცესში შექმნილი სირთულეები.

- ✓ „მთავარია თანამშრომლებს შორის კარგი დამოკიდებულება იყოს. ერთმანეთს უნდა დაეხმარონ“ (ქალი, 19 წლის)
- ✓ „უნდა შეგეძლოს კონფლიქტის მართვა, თანამედროვე სამსახურში ეს ძალიან მნიშვნელოვანია“ (კაცი, 18 წლის)
- ✓ „კლიენტს არ უნდა აჰყვე, კონფლიქტი დროზე უნდა შეაჩერო“ (ქალი, 18 წლის)
- ✓ „როდესაც თანამშრომლებს შორის დაძაბულია ურთიერთობა, კლიენტი ამას ყოველთვის გრძნობს და აღარ მოუხდება შენს ორიგანიზაციაში მოსვლა“ (ქალი, 18 წლის).

ყველა მონაწილემ გამოთქვა სურვილი, მათ მიერ დასახელებული უნარების განსავითარებელი ტრენინგ კურსების/კურსის გავლის.

### ტრენინგის ჩატარების პირობები და ღირებულება

რესპოდენტთა აზრით, სამდღიანი (18-20 საათი) ტრენინგის სავარაუდო ღირებულება შეიძლება იყოს 50-დან 250 ლარამდე. უმარვლესობა თვლის, რომ ოპტიმალური თანხა, რომელიც შეიძლება სტუდენტმა სერტიფიცირებულ ტრენინგ-კურსში გადაიხადოს არის 50 ლარი.

მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ტრენინგის სესიები შეთანხმებული იყოს სასწავლო პროცესთან და ჩატარდეს ლექციების შემდეგ, დღის მეორე ნახევარში.

## გიდები

### საკუთარი პროფესიული არჩევანის მიმართ დამოკიდებულება

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათი პროფესიული არჩევანი ძირითადად განაპირობა იმან, რომ გიდის პროფესია ხშირ მოგზაურობასა და ახალ ადამიანებთან კონტაქტს გულისხმობს, რის გამოც ძალზე საინტერესო და სახალისოა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს საკუთარ არჩევანს, მოსწონს გიდის პროფესია და სასწავლო თემატიკასაც მრავალფეროვნად და საინტერესოდ მიიჩნევს.

*პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა ტრენინგ საჭიროებების კვლევა*

- ✓ „მომწონს, სხვებს რომ ვაცნობ ჩემი ქვეყნის ისტორიას“ (ქალი, 20 წლის);
- ✓ „მიყვარს უცხო ადამიანებთან ურთიერთობა, ახალი კულტურის შესწავლა“ (ქალი, 21 წლის);
- ✓ „მიყვარს ახალი ადგილების აღმოჩენა“ (ქალი, 24 წლის);
- ✓ „ვსწავლობ ქართული სტუმარ-მასპინძლობის საფუძველს“ (ქალი, 20 წლის);

მონაწილეები იმედოვნებენ, რომ საქართველოში, ტურისტების მკვეთრად გაზრდასთან ერთად, გაიზრდება ამ პროფესიით დასაქმების პერსპექტივა და ისინი შეძლებენ წარმატების მიღწევას.

- ✓ „წარმატებული? . . . ვარ სამთო გიდი, რომელიც უცხოელ ტურისტებს ემსახურება. იმედი მაქვს 5 წელიწადში მოვახერხებ ინგლისური ენის შესწავლას“ (ქალი, 19 წლის);
- ✓ „ვფიქრობ, რომ 5 წლის შემდეგ ვიქნები გამოცდილი გიდი. ეს მომგებიანი პროფესიაა“ (ქალი, 21 წლის);
- ✓ „გავხსნი საკუთარ ტურისტულ სააგენტოს და მოვემსახურები როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებს“ (ქალი, 20 წლის).

### წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარები

რესპოდენტებმა დისკუსიის საფუძველზე განსაზღვრეს იდეალური გიდის პორტრეტი. მათი თვალსაზრისით იდეალური გიდი არის: საკუთარი საქმის პროფესიონალი, ერუდირებული, განათლებული, კარგად იცის როგორც საკუთარი, ასევე მსოფლიო ქვეყნების ისტორია და რელიგია; ფლობს რამდენიმე უცხო ენას; არის პრეზენტაბელური, იცავს ჩაცმის ეტიკეტს; აქვს კარგი გადმოცემის უნარი, შეუძლია დააინტერესოს ტურისტები; არ არის კონფლიქტური, პატივს სცემს სხვა ეროვნების და რელიგიის წარმომადგენლებს.

მათი აზრით ზემოაღნიშნული თვისებები და უნარ-ჩვევები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მიაღწიო პროფესიულ წარმატებას.

### პროფესიული ზრდისთვის საჭირო ტრენინგის თემატიკა

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული სრულყოფისათვის, საგნობივი ცოდნის გარდა, მომავალ გიდს ესაჭიროება საკუთარი კომუნიკაციური და პრეზენტაციის უნარის გაძლიერება/განვითარება, ვინაიდან მისი მთავარი ამოცანა ტურისტების დაინტერესებაა.

- ✓ „უნდა გქონდეს კარგი გადმოცემის უნარი, რათა დააინტერესო ტურისტები“ (ქალი, 20 წლის);
- ✓ „შეიძლება ბევრი რამ იცოდე, მაგრამ არ გქონდეს გადმოცემის უნარი. პრეზენტაციაში ვარჯიში ნამდვილად საჭიროა“ (ქალი, 20 წლის);
- ✓ „გიდმა უნდა დააინტერესოს და შეაყვაროს ტურისტებს ის ადგილი, რომლის შესახებაც მოუთხრობს, დამაჯერებლად უნდა საუბრობდეს“ (ქალი 24 წლის);

მონაწილეთა აზრით, მნიშვნელოვანია ფლობდნენ ტურისტების ეფექტიანად მომსახურების შესახებ სპეციფიურ ცოდნას და შესაბამის უნარ-ჩვევებს.

- ✓ „გიდს ყველანაირ ადამიანთან უნდა შეემლოს ურთიერთობის დამყარება“ (ქალი, 21 წლის).
- ✓ „გიდმა უნდა იცოდეს როგორ მოიქცეს ტურისტებთან, ჩაცმითაც კი უნდა განსხვავდებოდეს“ (ქალი 19 წლის).

ყველა მონაწილემ გამოთვა სურვილი მათ მიერ დასახელებული უნარების განსავითარებელი ტრენინგ კურსების/კურსის გავლის.

### *ტრენინგის ჩატარების პირობები და ღირებულება*

რესპოდენტთა აზრით, სამდღიანი (18-20 საათი) ტრენინგის სავარაუდო ღირებულება შეიძლება იყოს 50-დან 150 ლარამდე.

მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ტრენინგის სესიები ჩატარდეს სასწავლო პროცესის პარალელურად და იყოს დღეში 3 საათი.